



## ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

დაბა სტეფანწმინდა

N 13



10/01/2019

13-01-4-201901101211

„ყაზბეგის მუნიციპალიტეტის დასახლებებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით დასახლების საერთო კრებებისა და ამომრჩევლებთან კონსულტაციების ინიცირების შესახებ“ ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 05 იანვრის N4 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე

ვბრძანებ:

**მუხლი 1.** „ყაზბეგის მუნიციპალიტეტის დასახლებებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით დასახლების საერთო კრებებისა და ამომრჩევლებთან კონსულტაციების ინიცირების შესახებ“ ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 05 იანვრის N4 ბრძანების პირველ მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 1<sup>1</sup> და 1<sup>2</sup> პუნქტები:

1<sup>1</sup>. დამტკიცდეს საპროექტო წინადადების ფორმა დანართი N2-ის შესაბამისად;

1<sup>2</sup>. დამტკიცდეს საერთო კრების სხდომის/მოსახლეობასთან კონსულტაციის გამართვის ოქმის ტიპური ფორმა დანართი N3-ის შესაბამისად.

**მუხლი 2.** შეტანილი იქნეს ცვლილება ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 05 იანვრის N4 ბრძანების მე-4 მუხლში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

- 4. „მოქალაქეებისგან საპროექტო წინადადებების მიღება განხორციელდეს მერიის სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის განვითარების, არქიტექტურულ სამშენებლო საქმიანობაზე ზედახედველობისა და ადმინისტრაციული სამსახურების მეშვეობით“;

**მუხლი 3.** შეტანილი იქნეს ცვლილება ბრძანების მე-6 მუხლში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

-6. „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის საკითხებზე მოსახლეობასთან ურთიერთობაზე და საპროექტო წინადადებების მიღებაზე უფლებამოსილ პირებად განისაზღვრონ:

1. ჯემალ სუჯაშვილი - ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის განვითარების სამსახურის უფროსი; მობ: 591 27 63 33, ელ-ფოსტა: kazbegimunicipality.info@gmail.com.
2. დიმიტრი შიოლაშვილი - ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურულ სამშენებლო საქმიანობაზე ზედახედველობის სამსახურის უფროსი; მობ: 591 99 31 37, ელ-ფოსტა: kazbegimunicipality.info@gmail.com.
3. ზვიად ჩოფიკაშვილი - მერის წარმომადგენელი დაბა სტეფანწმინდის ადმინისტრაციულ ერთეულში; მობ: 595 97 85 92, ელ-ფოსტა: kazbegimunicipality.info@gmail.com.
4. ელბერდი პაპიაშვილი - მერის წარმომადგენელი სნოს ადმინისტრაციულ ერთეულში; მობ: 599 52 76 49, ელ-ფოსტა: kazbegimunicipality.info@gmail.com.
5. ქეთევან მაისურაძე - მერის წარმომადგენელი სიონის ადმინისტრაციულ ერთეულში; მობ: 599 88 08 86, ელ-ფოსტა: kazbegimunicipality.info@gmail.com.
6. ლარისა ხოსიშვილი - მერის წარმომადგენელი გორისციხის ადმინისტრაციულ ერთეულში; მობ: 595 71 86 00, ელ-ფოსტა: kazbegimunicipality.info@gmail.com.
7. გივი ჩქარეული - მერის წარმომადგენელი კობის ადმინისტრაციულ ერთეულში; მობ: 595 24 03 34, ელ-ფოსტა: kazbegimunicipality.info@gmail.com.
8. ვაჟა ლუდუშაური - მერის წარმომადგენელი გუდაურის ადმინისტრაციულ ერთეულში; მობ: 555 00 77 72, ელ-ფოსტა: kazbegimunicipality.info@gmail.com.
9. გიორგი შერმადინი - ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების დაგეგმვისა და სტატისტიკის განყოფილების უფროსი; მობ: 577 13 20 71, ელ-ფოსტა: kazbegimunicipality.info@gmail.com.
10. ანნა ყამარაული - ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის განვითარების სამსახურის უფროსი სპეციალისტი; ელ-ფოსტა annkami10@gmail.com , მობ: 551 11 10 10.
11. მარიამ გუჯეჯიანი - ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურულსამშენებლო საქმიანობაზე ზედახედველობის სამსახურის სპეციალისტი, ელ-ფოსტა : [mariamgujejiani94@gmail.com](mailto:mariamgujejiani94@gmail.com), მობ: 595 51 33 76.

**მუხლი 4.** ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე

**მუხლი 5.** ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონულ სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ყაზბეგის მუნიციპალიტეტში მისამართზე: დაბა სტეფანწმინდა ალ.ყაზბეგის ქ.N76-ში გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

ალექსანდრე ზაგაშვილი

მუნიციპალიტეტის მერი

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერია